აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

2016 - 2020 წლების მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ

7 თვეში შესრულებული სამუშაოს

პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა

28.11.2016-15.06.2017

ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

1. შესავალი
2. საკანონმდებლო საქმიანობა
3. სტატისტიკური მონაცემები კომისიების მუშაობის შესახებ
4. ამომრჩეველთან ურთიერთობა
5. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში
6. ელექტრონული საქმისწარმოება
7. დონორი ორგანიზაციები
8. საერთაშორისო ურთიერთობები
9. თანამშრომლობა მესამე სექტორთან
10. შეხვედრები ახალგაზრდებთან
11. საქველმოქმედო აქტივობები
12. სამომავლო გეგმები

წარმოგიდგენთ 2016-2020 წლების მოწვევის უმაღლესი საბჭოს 7 თვის მუშაობის შედეგს. ბუნებრივია, ანგარიშში სრულად ვერ ავსახავთ საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებულ ყველა აქტივობას. პრეზენტაცია მოიცავს უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან 15 ივნისამდე გაწეული საქმიანობის ძირითად ასპექტებს. ყურადღებას გავამახვილებთ საზოგადოებისთვის საინტერესო, აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებზე.

მოგეხსენებათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, ასრულებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება საყოველთაო, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 15 და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 6 დეპუტატისგან.

საკანონმდებლო საქმიანობა

ახალი მოწვევის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ბიუროს - 30, 6 პლენარული და 9 რიგგარეშე სხდომა. მიიღო 56 სამართლებრივი აქტი, მათ შორის: 37 დადგენილება, 14 - ცვლილება კანონში, 5 - ცვლილება რეგლამენტში. მიღებული სამართლებრივი აქტებიდან ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მათგანზე.

<u>კანონი - „აჭარის ა.რ. 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“</u>

ინიც: აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარე

კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია რეგიონის მოსახლეობისთვის. 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვა, კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში, დაიწყო წინა მოწვევის უმაღლესმა საბჭომ, თუმცა არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ, ახალი შემადგენლობა ჩავერთეთ მის განხილვაში, გვქონდა შენიშვნები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აისახა საბოლოო ვარიანტში. ჩვენი შენიშვნები გამომდინარეობდა წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობასთან შეხვედრებზე დასმული საკითხებიდან გამომდინარე. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი ორიენტირებულია სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე:

1. **აჭარის ა.რ. 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტებია:**

- ✓ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**
- ✓ **მოსახლეობის სოციალური დაცვა**
- ✓ **დასაქმების ხელშეწყობა**
- ✓ **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**
- ✓ **ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა**
- ✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია**
- ✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობა**
- ✓ **გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა**
- ✓ **წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება**
- ✓ **ტყის მდგრადი მართვა**
- ✓ **საარჩევნო გარემოს განვითარება**
- ✓ **აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა**

- ✓ **რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა.**

2. **<u>„აჭარის ა.რ. ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ - კანონის ცვლილება</u>**

ინიც: უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია

ცვლილება მიზნად ისახავს: აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური პირების ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ შეძენილი ქონების განკარგვის საკითხების რეგულირებას.

3. **<u>„აჭარის ა.რ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ - კანონის ცვლილება</u>**

ინიც: დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია

ცვლილების თანახმად, სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს განახორციელებს აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

4. **<u>„აჭარის ა.რ. საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ კანონის ცვლილება</u>**

ინიც. მთავრობის თავმჯდომარე

ცვლილების მთავარი არსი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდების შექმნა.

5. **<u>საკანონმდებლო პაკეტი: უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში, უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ დადგენილებასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ</u>**

ინიც: დავით გაბაიძე

მიზანი: უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა.

ცვლილების თანახმად, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში არსებული მომიჯნავე ფუნქციებისა და ერთი მიზნის მიღწევისკენ ორიენტირებული თანამდებობები ერთიან სტრუქტურაში მოექცა. ორი სტრუქტურული ერთეულის:

პრესსამსახურისა და აპარატის ადმინისტრაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა ერთი - საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტი.

6. <u>დადგენილება - საკანონმდებლო ინიციატივა - „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე</u>

ინიც: ვლადიმერ მგალობლიშვილი

საკანონმდებლო ინიციატივის არსი:

აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთა დანიშნვა/გათავისუფლების უფლების დელეგირებისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

კანონის პროექტი, საკანონმდებლო ინიციატივის წესით, წარედგინა საქართველოს პარლამენტს და მას, I, II მოსმენით, როგორც საკომიტეტო, ისე პლენარულ სხდომებზე ერთხმად დაუჭირეს მხარი უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა. კანონის პროექტი საქართველოს პარლამენტში მისმა ავტორმა ვლადიმერ მგალობლიშვილმა წარადგინა.

7. <u>დადგენილება - „აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“</u>

ინიც: ნინო ჩხეტია

საბჭო ხელს უწყობს:

გენდერულ სფეროში ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფას, შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხილვასა და დამტკიცებას, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას. საბჭო 8- ის ნაცვლად, 10-წევრიანია და მის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს შესაბამისი აპარატი. აღნიშნული ცვლილების თანახმად, საბჭოს აპარატის საქმიანობაში ჩაერთვნენ უმაღლესი საბჭოს აპარატის ის თანამშრომლებიც, რომლებსაც ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება აქვთ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომისიების მიერ 28.11. 2016-დან 15.06.2017-მდე პერიოდში გაწეული საქმიანობის სტატისტიკა:

1. აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისია

- კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომები - 12;
- მათ შორის გაერთიანებული - 8;
- კომისიის სხდომებზე განხილული საკითხები - 24;
- კომისიის თავმჯდომარის შეხვედრები -15;
- მათ შორის N68 ოლქის ამომრჩეველთან - 10;
- ხულოს, შუახევის და ქედის მუნიციპალიტეტებში, სახელმწიფო პროგრამების გაცნობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად გამართული სამუშაო შეხვედრები - 5;
- კომისიაში მიღებაზე მყოფი მოქალაქეების რაოდენობა - 35;
- კომისიაში შემოსული მოქალაქეთა განცხადებები - 49;
- კომისიაში შემოსული კორესპონდენცია - 101.

2. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია

- კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომები - 12;
- კომისიის სხდომებზე განხილული სამართლებრივი აქტების პროექტები - 8;
- კომისიის მიერ მომზადებული დასკვნები - 8;
- კომისიის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივები - 3;
- კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგიონში პატიმართა და ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მომზადებული და სხვა უწყებებისათვის შეთავაზებული ინიციატივები - 2;
- მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის ადგილზე გაცნობისა და მონიტორინგის მიზნით კომისიის მიერ ორგანიზებული შეხვედრები - 6;
- უმაღლეს საბჭოში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა - 8;
- კომისიაში შემოსული კორესპონდენცია სულ- 231,
  მათ შორის:
  სხვადასხვა უწყებიდან - 59;
  შიდა წარმოების - 82;
  მოქალაქეთა განცხადებები - 90;
- კომისიაში მიღებული მოქალაქეების რაოდენობა - 297;

3. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია

- საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომების რაოდენობა - 15;

- სხდომებზე განხილული საკითხები -27;
- შემუშავებული და წარდგენილი სავალდებულო დასკვნები უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ საკითხებზე - 10;
- კომისიის მიერ განხილული სამართლებრივი აქტების პროექტები -10;
- კომისიის მიერ ინიცირებული და მიღებული სამართლებრივი პროექტები - 2;
- კომისიის მიერ ინიცირებული და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტების პროექტები - 1;
- კომისიის მიერ მომზადებული და შესაბამის სტრუქტურებთან ერთად განხილვის სტადიაში მყოფი საკანონმდებლო ინიციატივები - 2;
- საანგარიშო პერიოდში კომისიაში მიღებული მოქალაქეების რაოდენობა - 119;
- კომისიაში შემოსული და დამუშავებული კორესპონდენცია - 57;
- კომისიიდან გასული კორესპონდენცია - 102.

4. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

- ჩატარებული სხდომების რაოდენობა - 24;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ერთობლივი სხდომები - 6;
- უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები - 56;
- მათ შორის კომისიის (კომისიის თავმჯდომარის) მიერ ინიცირებული - 36; სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა - 52;
- განხილული საკანონმდებლო პაკეტების რაოდენობა - 4;
- მიღებული (მომზადებული) დასკვნების რაოდენობა - 47;
- კომისიაში შემოსული კორესპონდენცია - 182;
- კომისიიდან გასული კორესპონდენცია - 106;
- კომისიის წევრების მიერ მიღებული მოქალაქეების რაოდენობა - 244;

5. საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია

- კომისიის მიერ ჩატარებული სხდომები - 15;
- სხდომებზე განხილული საკითხები - 21;
- კომისიისა და კომისიის წევრების მიერ ინიცირებული სამართლებრივი აქტების პროექტები - 3;
- კომისიის სხდომებზე დარგობრივი მიმართულებით განხილული საკითხები - 2;
- კომისიის სხდომებზე განხილული საკითხების თაობაზე მომზადებული დასკვნები - 14;

- როგორც წამყვანმა კომისიამ, უმაღლესი საბჭოს სხდომებზე განხილვისათვის მოამზადა საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სხვადასხვა სუბიექტის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები - 7;
- მიღებული და კონტროლზე აყვანილი კორესპონდენცია - 177;
- კომისიიდან გასული ოფიციალური წერილები - 114;
- კომისიის წევრების მიერ ოფიციალურად მიღებული მოქალაქეების რაოდენობა - 114.

6. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

- კომისიის მიერ ჩატარებული სხდომების რაოდენობა - 17;
- მათ შორის გაერთიანებული სხდომები - 7;
- გასვლითი სხდომები (ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში) – 3;
- სამუშაო შეხვედრები -3;
- კომისიის მიერ განხილული სამართლებრივი აქტების პროექტები - 13;
- კანონის პროექტებთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნები - 13;
- მომზადების სტადიაში მყოფი სამართლებრივი აქტების პროექტები - 4;
- კომისიაში შემოსული, განხილული და შესაბამის უწყებებში გადაგზავნილი მოქალაქეთა განცხადებები - 29;
- კომისიაში მიღებული მოქალაქეების რაოდენობა - 82;
- კომისიის შუამდგომლობით სამედიცინო დახმარება გაეწია -147 მოქალაქეს;
- კომისიის თავმჯდომარემ, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა, მიიღო - 24 მოქალაქე;
- მის ბიუროში განხილულია - 24 მოქალაქის განცხადება;
- კომისიის ეგიდითა და კომპანია ევექსის მხარდაჭერით ჩატარდა:
- უფასო კონსულტაციები და კვლევები ხულოს, შუახევის, ქედის, ქობულეთის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ბათუმის მოსახლეობისთვის;
- აღნიშნული აქციების ფარგლებში მაღალკვალიფიციური ექიმთა ბრიგადების მომსახურებით და უფასო გამოკვლევებით ისარგებლა 1000-მდე მოქალაქემ;
- აქციების ფარგლებში მოქალაქეებს ჩაუტარდათ 1300 გამოკვლევა;
- კომისიამ მონაწილეობა მიიღო 24 შეხვედრასა და საქველმოქმედო აქციაში.

ამომრჩეველთან ურთიერთობა

უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ამომრჩეველთან ურთიერთობა. უმაღლესი საბჭოს წევრების მოსახლეობასთან კომუნიკაცია ხორციელდება როგორც უმაღლეს საბჭოში, ასევე მის გარეთ, კომისიების გასვლით სხდომებზე, სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

- **არაფორმალურ გარემოში** და დაუგეგმავად მოსახლეობასთან ურთიერთობა პირადად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ გზას ხშირად მივმართავ და მოსახლეობის ხშირი თავშეყრის ადგილებში, ყოველგვარი პროტოკოლის, აფიშირების, მედიის წარმომადგენლების და სპეციალური დღის წესრიგის გარეშე ვხვდები მათ.
- **უმაღლეს საბჭოში მოქალაქეთა მიღება** ხორციელდება ყოველდღიურად, შესაბამის დეპუტატთან კომუნიკაციით და შეთანხმებით. უმაღლესმა საბჭომ 8 თვეში, კანონისა და კომპეტენციის ფარგლებში, მიიღო და დახმარება-რეკომენდაცია გაუწია 1901 მოქალაქეს, მათ შორის 297 მოქალაქე მიიღო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ. ამ დროის განმავლობაში უმაღლეს საბჭოში შემოვიდა 1269 მოქალაქის წერილი, რომელთა ნაწილს პასუხი გასცეს და კანონის ფარგლებში დახმარება-რეკომენდაცია გაუწიეს უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა კომისიებმა, ხოლო ნაწილი რეაგირებისთვის გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებას.
- უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის თანახმად, კომისიებს აქვთ უფლებამოსილება **გასვლითი სხდომები** გამართონ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. ჩვენ გადავწყვიტეთ ეს უფლებამოსილება აქტიურად გამოვიყენოთ, რადგან ეს ხელს უწყობს მუნიციპალიტეტების მოსახლეობასთან უფრო მჭიდრო კომუნიკაციას. მათ ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ უმაღლესი საბჭოს საქმიანობას, ჩვენ კი, ადგილზე, უშუალოდ მოქალაქეებისგან ვიგებთ, თუ რა აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას და რა არის მათთვის პრიორიტეტული.

მოლოდინმა გაამართლა. უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა, ასევე აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიების მიერ გამართული გასვლითი სხდომები შინაარსობრივად ძალიან დატვირთული და პროდუქტიული იყო. ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში ჩატარებულ გასვლით სხდომებს უმაღლესი საბჭოს წევრებთან, სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელები და ადგილობრივი მოსახლეობა. მათ მიერ სხდომებზე წამოჭრილი საკითხები და დასმული პრობლემები ძირითადად ეხებოდა სოციალურ და აგრარულ პროგრამებს. რიგ შემთხვევებში, მოსახლეობა არასრულყოფილად იცნობს, ან საერთოდ არ აქვს ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ. გასვლითი სხდომები კარგი საშუალება აღმოჩნდა მოსახლეობისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისა და

ჯანდაცვისა და აგრარული მიმართულებით არსებული სახელმწიფო პროგრამების გაცნობისთვის.

კომისიების გასვლითი სხდომების დასრულების შემდეგ გავდივართ სოფლებში და ვხვდებით ადგილობრივ მოსახლეობას.

- მნიშვნელოვანია **მაჟორიტარი დეპუტატების ურთიერთობა ამომრჩეველთან.** ამ ფუნქციის განსახორციელებლად უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ ილია ვერძაძემ შეიმუშავა და უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ინიციატივა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილების თანახმად, მაჟორიტარი სისტემით არჩეულ უმაღლესი საბჭოს წევრებს ამომრჩეველთან ურთიერთობის, ორგანიზების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობისა და საკითხების გადაწყვეტის მიზნით, უფლება აქვთ ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები. მათი საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური და შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხები გამოიყოფა უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ №68, №69, №70, №71, №72 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში არჩეული უმაღლესი საბჭოს შესაბამისი მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე ზემოთ აღნიშნულ თითოეულ ოლქში ინიშნება არაუმეტეს ორი წარმომადგენელი, ხოლო №73 მაჟორიტარულ ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე, ინიშნება არა უმეტეს 3 წარმომადგენელი. წარმომადგენლები ხელს უწყობენ შესაბამისი მაჟორიტარის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, შეხვედრების დაგეგმვას, პრობლემების გაცნობას და სხვა.

დავით გაბაიძე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 15 დეკემბრის №65 – Iს დადგენილებით, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის მომზადების მიზნით, შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც უმაღლესი საბჭოს სახელით ვიმყოფები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უფლებამოსილებების დელეგირებისა და გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გაფართოება-დაზუსტების მიზნით, კომისიას არაერთი ინიციატივა წარვუდგინეთ. საკმაოდ ხანგრძლივი და რთული სამუშაო შედეგია ის, რომ კომისიის წევრებმა ჩვენს მიერ წარდგენილი ინიციატივების მნიშვნელოვანი ნაწილი გაითვალისწინეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგიონისთვის უფლებების დელეგირების ნაწილი.

მნიშვნელოვანი შეხვედრები გვოქნდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების თაობაზე. უმაღლესი საბჭოს წევრები აქტიურად არიან ჩართულები საკონსტიტუციო ცვლილებების სახალხო განხილვების პროცესშიც.

2016 წლის მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე დავიწყეთ მუშაობა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვის თაობაზე. მანამდე უმაღლეს საბჭოში საქმისწარმოება ძველი მეთოდით - აღრიცხვის ჟურნალებში ხორციელდებოდა. წერილების მოძრაობას სჭირდებოდა დიდი დრო, ვერ ხდებოდა სწრაფი რეაგირება, საკანცელარიო ხარჯები იყო დიდი და კონტროლიც გაძნელებული.

eDocument - საჯარო დაწესებულებებში ელექტრონული საქმისწარმოების საშუალებაა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება უმაღლესი საბჭოს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის სპეციფიკას. იყო გარკვეული რისკები სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, მაგრამ საბოლოოდ სისტემა გაიმართა და შედეგად მივიღეთ:

გამარტივებული საქმისწარმოება - **eDocument** - ის მიზანია საქმისწარმოების პროცესის გამარტივება, ხელმისაწვდომობა და კომპიუტერული სისტემატიზაცია. სისტემა ინტეგრირებულია MS office პროგრამებთან. იგი იძლევა საშუალებას ეფექტურად ვმართოთ დავალებები, აქვს მათი განაწილების შესაძლებლობა, მარტივია დოკუმენტის მოძრაობის და შესრულების კონტროლი.

შემცირებული ბიუროკრატია - მატერიალური სახით არსებული საქმისწარმოება მოითხოვდა დიდ დროს. **eDocument-ის** სისტემა უზრუნველყოფს დოკუმენტების დროში ეფექტურ მართვას, მათზე სწრაფ რეაგირებას და საჭირო დავალებებზე მარტივად და სრაფად წვდომას. ასევე გამარტივებულია დოკუმენტაციის მონიტორინგი.

შემცირებული საკანცელარიო ხარჯი - **eDocument** - სისტემის დანერგვამ საგრძნობლად შეამცირა საკანცელარიო, კერძოდ, თაბახის შეძენის, პრინტერის კარტრიჯების, სააღრიცხვო ჟურნალების და სხვა ამ პროცესთან დაკავშირებული ხარჯები.

ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩართვა - **eDocument** – ჩართულია არაერთი სახელმწიფო უწყება, რაც ასევე ამარტივებს უწყებათაშორის ურთიერთობებს.

ლიცენზირებული Microsoft Office -ის პროგრამები და ოპერაციული სისტემები - მნიშვნელოვანი და აუცილებელი გადაწყვეტილება მივიღეთ და შევისყიდეთ Microsoft Office -ის პროგრამების და ოპერაციული სისტემების ლიცენზია. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო უწყება, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვან რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს და ქმნის სამართლებრივ გარემოს, პირველ რიგში თავად უნდა ჯდებოდეს კანონის ჩარჩოებში და არ უნდა სარგებლობდეს არალიცენზირებული პროგრამებით.

დონორი ორგანიზაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე დავიწყეთ მოლაპარაკებები რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან უმაღლესი საბჭოს ახალი ვებ-გვერდის რებრენდინგის, ასევე სხდომათა დარბაზის ტექნიკური გადაიარაღებისა და ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დანერგვის დაფინანსების თაობაზე. უმაღლეს საბჭოსთან თანამშრომლობას დათანხმდა **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)**, რომელმაც დააფინანსა უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდის რებრენდინგის პროექტი. განახლებული ვებ-გვერდი ვიზუალურად და ტექნიკურად წარმოადგენს ფაქტობრივად ახალ გვერდს, არის გაცილებით მოქნილი მომხმარებლისთვის, ინფორმაციული და სამართავად მარტივი.

განახლებული ვებ-გვერდიდან შესაძლებელია შემდეგი ინფორმაციის მიღება:

- ✓ უმაღლესი საბჭოს არჩევის წესის, საქმიანობისა და კომპეტენციის შესახებ
- ✓ ბიუროს შექმნის წესის, უფლებამოსილებისა და შემადგენლობის შესახებ
- ✓ კომისიების შექმნის წესისა და ფუნქციების შესახებ
- ✓ ფრაქციების შექმნის წესის და ამოცანების შესახებ
- ✓ უმაღლესი საბჭოს წევრების პირად მონაცემების შესახებ
- ✓ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების (კანონი, დადგენილება, რეგლამენტი, რეზოლუცია, მიმართვა, განცხადება...) შესახებ
- ✓ უმაღლესი საბჭოს სტრუქტურისა და აპარატში დასაქმებულთა შესახებ
- ✓ უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომების, რიგგარეშე სხდომების, რიგგარეშე სესიების, ბიუროს სხდომების, კომისიების შიდა და გასვლითი სხდომების, ცალკეული დეპუტატების ამომრჩეველთან ურთიერთობის და უმაღლესი საბჭოს სხვა აქტივობების შესახებ

  საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად ვებ-გვერდზე სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია:

  - ➢ უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისთვის და საწვავისთვის გახარჯული თანხის ოდენობის შესახებ (კვარტალურად, ჯამურად)
  - ➢ უმაღლესი საბჭოს წევრთა და აპარატის თანამშრომელთა სამსახურეობრივი მივლინებისას გაწეული ხარჯების შესახებ (კვარტალურად, ჯამურად)

მე-4 მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე მივიღეთ გადაწყვეტილება, საწვავის მომსახურებისთვის და მივლინებებისთვის გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია გამოვაქვეყნოთ არა კვარტალურად და ჯამურად, არამედ ყოველთვიურად. გამოქვეყნებულ ინფორმაციაში მითითებულია, თუ რომელმა დეპუტატმა რამდენი ლიტრი საწვავი გახარჯა გასულ თვეს, ასევე სახელობითია და დეტალურად არის ჩაშლილია მონაცემები სამივლინებო ხარჯების თაობაზე.

ზემოთ აღნიშნული დადგენილების თანახმად, ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია:

უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის, განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების, უმაღლესი საბჭოს წევრებსა და აპარატის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგოების, დანამატებისა და პრემიების ოდენობების (კვარტალურად, ჯამურად), უმაღლეს საბჭოში სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, მოქალაქეებიდან შემოსული კორესპონდენციისა და უმაღლეს საბჭოში დასაქმებულთა სტატისტიკური მონაცემების, უმაღლეს საბჭოში გამოცხადებული კონკურსის, საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და კონკურსის ეტაპების შესახებ (კონკურსი ცხადდება www.hr.gov.ge და პარალელურად, ინფორმაცია იდება www.sca.ge). გვერდზე ასევე იხილავთ მონაცემებს უმაღლესი საბჭოს წევრების, მათი ელექტრონული ფოსტის მისამართების და სამსახურეობრივი ტელეფონის ნომრების, უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლების საკონტაქტო მონაცემების, უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი პირების მონაცემების, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის შესახებ (აქვეა განთავსებული განცახდებების მოთხოვნის სტანდარტული ფორმები) და სხვა.

ვებ-გვერდზე სისტემატურად ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომების, კომისიების, ბიუროს თუ სხვა ღონისძიებების დღის წესრიგები, პრესრელიზები და ანონსები. ღონისძიებების შესახებ ინფორმაციასთან ერთად ქვეყნდება ფოტო და ვიდეომასალა.

უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდი სრულად უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალე საქმიანობას.

როგორც აღვნიშნეთ, ვებ-გვერდის რებრენდინგში დონორი ორგანიზაცია - **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)** - დაგვეხმარა, რომელთან თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკებები უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დანერგვის დაფინასების თაობაზე.

საერთაშორისო ურთერთობები

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აქტიურად მუშაობს. მიზანია არსებული ურთიერთობების გაღრმავება და ახალი კავშირების დამყარება პარტნიორი ქვეყნების რეგიონებთან. ყველა ვიზიტი, რომელსაც უმაღლესი საბჭო დაგეგმავს და განახორციელებს საზღვარგარეთ ორიენტირებული იქნება შედეგზე, ევროსტრუქტურებთან დაახლოებასა და ევროინტეგრაციის გზაზე ქვეყნის ხელშეწყობაზე.

ოფიციალური შეხვედრები და სტუმრები:

2016-2020 წლების მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შემდეგ გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა ქვეყნის ელჩებთან და კონსულებთან, ასევე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის საქმეების ბიუროს წარმომადგენელთან, აშშ-ს საელჩოს პოლიტიკურ ოფიცერთან, საქართველოსა და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) ხელმძღვანელთან, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სხვა.

ლიტვის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩი - 02.12.2016

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის საქმეების ბიუროს წარმომადგენელი - 09.12.2016

თურქეთის გენერალური კონსული - 09.12.2016

აზერბაიჯანის გენერალური კონსული - 13.12..2016

სავაჭრო-სამრეწველო პალატა - 22.12.2017

ცნობილი ექიმი ისმეთ დინდარი - 29.12.2016

საქართველოსა და თურქეთის თანამშრომლობის და კოორდინაციის სააგენტო (TIKA) ხელმძღვანელს ხუსეინ შანილი - 05.01.2017

მესამე სექტორის წარმომადგენლები - 11.01.2017

ირანის ისლამური რესპუბლიკის გენერალური კონსული - 13.01.2017

ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი - 02.07.2017

საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია - 08.02.2017

აშშ საელჩოს პოლიტიკური ოფიცერი - 11.02.2017

გერმანია - ჰესენის ფედერალური მხარის დელეგაცია -18.04.2017

გაეროს ახალგაზრდული ასამბლეა - 27.02.2017

პოლონეთი - ქვემო სილეზიის სავოევოდოს დელეგაცია - 17.04.2017

ბელგია - ვალონიის რეგიონის დელეგაცია - 26.04.2017

გერმანიაში ქალაქ ვისბადენში - ვლადიმერ მგალობლიშვილი ევროპის ფესტივალების ასოციაციის სამიტში მონაწილეობდა - 05.05.2017

ოფიციალური ვიზიტები საზღვარგარეთ:

მე-4 მოწვევის უმაღლესმა საბჭომ რამდენიმე საქმიანი ვიზიტი განახორციელა:

- **თავმჯდომარის მოადგილე მერაბ კარანაძე 19-22 თებერვალს სამუშაო ვიზიტით იტალიაში იმყოფებოდა**. ვიცე-სპიკერმა შეხვედრები ქალაქ ფერარასა და როვიკოში გამართა.
  ვიზიტის ფარგლებში დეპუტატი ფერარას უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და რექტორს შეხვდა. შეხვედრაზე ბათუმისა და ფერარას უნივერსიტეტებს შორის პარტნიორული ურთიერთობების წინადადებები განიხილეს და სამომავალო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

- **ვლადიმერ მგალობლიშვილი, ოფიციალური ვიზიტით ვენაში იმყოფებოდა** (27.05-02.06.2017), ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა არტ მენეჯერთან ბარბარა შტურმთან, რომელმაც ისაუბრა ავსტრიაში არსებულ ფესტივალების ჩატარების რეგულაციებზე. მისი თქმით აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს აქტივობის მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარებას. მან გამოთქვა მზადყოფნა, რომ მომავალში ესტუმროს საქართველოს და მსგავსი რეგულაციების შემუშავებაში პირადად მიიღოს მონაწილეობა.

- **ვლადიმერ მგალობლიშვილი, გერმანიაში, ქალაქ ვისბადენში ევროპის ფესტივალების ასოციაციის სამიტში მონაწილეობს**. საერთაშორისო ფორუმის ფარგლებში აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი შეხვდა ევროპის ფესტივალების ასოციაციის პრეზიდენტობის კანდიდატს _ იანს ბრიერს, რომელიც, ამავდროულად, ბელგიის დასავლეთ ფლანდერის მხარის გუბერნატორიც გახლავთ. ვლადიმერ მგალობლიშვილმა იანს ბრიერს რეგიონის ტურისტული ღირსშესანიშნაობების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ ბათუმს გააჩნია ყველა შესაძლებლობლობა უმასპინძლოს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ მაღალი დონის აქტივობებს.

- **თავმჯდომარე დავით გაბაიძე საქართველოს წარმომადგენლობით დელეგაციასთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა** (28.05-07.06.2017). ვიზიტი ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში მოეწყო, რომელსაც ხელი 2016 წელს ხელი მოაწერეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა - „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ (თბილისი, საქართველო) და „გლობალური განათლების მოტივატორები“ (ფილადელფია, პენსილვანია, აშშ). მემორანდუმი ითვალისწინებს ერთობლივი პროექტების შემუშავებას, რომელშიც ჩართულები იქნებიან საქართველოს თვითმმართველი ქალაქების და ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი ორგანოები. მიმდინარე პროგრამა მოიცავს მთავრობის წარმომადგენლების, მერების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, მუნიციპალიტეტის ხელმღვანელების შეხვედრებს ფილადელფიის საკრებულოს თანამშრომლებთან, შესაბამის დეპარტამენტებსა და განყოფილებებთან. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ფილადელფიის მერიასთან თანამშრომლობას ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე. 31 მაისს დავით გაბაიძე საქართველოს დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად ჯენქსის დაწყებით სკოლის და ჩესთნან ჰილის კოლეჯის სასწავლო პროგრამებს გაეცნო. მათ მასპინძლობა და მეგზურობა გაუწია კრის რაბიმ,

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობით პალატაში პენსილვანიის შტატის, ფილადელფიის წარმომადგენელმა.1 ივნისს დავით გაბაიძე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან - გია (ელგუჯა) გვაზავასთან, აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრთან ქეთევან ბაკარაძესთან ერთად, ფილადელფიის მერიაში ქალაქის საბჭოს წევრს დევიდ ოუს შეხვდნენ. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა კანონშემოქმედებით საქმიანობასა და სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებზე.

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 5 კაციანი დელეგაცია, დავით გაბაიძის ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა პოლონეთში (23.02-27.02.2017).**

24 თებერვალს, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებს ქვემო სილეზიის სავოევოდოს მარშალმა ცეზარ ფშიბილსკიმ, ვიცე-მარშალმა ივან კრავჩუკმა და სავოევოდოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა უმასპინძლეს. ცეზარ ფშიბილსკისთან გამართულ შეხვედრაზე, რომელმაც ძალზე გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ორი მეგობარი ქვეყნის რეგიონებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში 2016 წელს განხორციელებული ღონისძიებები შეაჯამეს და სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივები დასახეს.

25 თებერვალს, პოლონეთის ქალაქ ვროცლავში, რიგით მე-9 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ესწრებოდა. ვროცლავის ცნობილი საერთაშორისო გამოფენა, რომელზეც ჩვენი რეგიონი მეორედ იყო წარმოდგენილი, ერთგვარი ხიდია ცალკეული ქვეყნების ტუროპერატორებსა თუ ტურისტულ კომპანიებს შორის მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

უმაღლესი საბჭოს დელეგაციას ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა მოუწყვეს ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმში. ქართველ კანონმდებლებს ვროცლავის წარმომადგენლობით ორგანოში მისმა ხელმძღვანელმა პაველ ვრობლევსკიმ უმასპინძლა. შეხვედრაზე მხარეებმა, პირველ რიგში, საქართველო-პოლონეთის მეგობრული, საქმიანი ურთიერთობების მნიშვნელობასა და თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე ისაუბრეს, ყურადღება გაამახვილეს იმ აქტუალურ საკითხებზე, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციასა და მის დაახლოებას ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან.

აღნიშნულ ვიზიტს მალევე მოყვა ქვემო სილეზიის სავოევოდოს დელეგაციის საპასუხო სტუმრობა საქართველოში, რომლის დროსაც გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (11.05.2017, ქ.თბილისი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაფორმებული შეთანხმებები და მემორანდუმები

1) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმსა და აჭარის ა.რ. უმაღლეს საბჭოს შორის. 2017 წლის 11 მაისი. მემორანდუმს ხელი მოეწერა საქართველოს პარლამენტში.

   მემორანდუმის ძირითადი მიმართულებები: ეკონომიკა, მცირე და საშუალო მეწარმეებისა და ბიზნესის წამომადგენლების დაკავშირება, ევროინტეგრაციის პოპულარიზაცია, თვითმმართველობის განვითარება და ა.შ.

2) ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი - ბრანდენბურგის ფედერალური მიწის პარლამენტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს შორის - 2013 წლის 6 ივნისს.
3) შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ ტერნოპოლის საოლქო საბჭოსა და აჭარის ა.რ. უმაღლეს საბჭოს შორის - 2014 წლის 24 აგვისტო.
4) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - აჭარის ა. რ. უმაღლეს საბჭოსა და ა(ა)იპ „ახალგაზრდული უმაღლესი საბჭოს“ შორის -2014 წლის 13 მაისი.
5) ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი - აჭარის ა.რ უმაღლეს საბჭოსა და ა(ა)იპ „მწვანე ჯგუფს“ შორის - 2014 წლის 24 მარტი.
6) მემორანდუმი ს.ს.ი.პ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ და აჭარის ა.რ. უმაღლეს საბჭოს შორის - 2016 წლის 20 ოქტომბერი.

თანამშრომლობა მესამე სექტორთან

უმაღლესი საბჭოს ახლანდელი შემადგენლობაში არიან არასამთავრობო სექტორიდან მოსული წევრებიც, რომელთაც აქვთ კარგი გამოცდილება ადამიანის უფლებების დაცვის, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების და სამართლიანობისთვის ბრძოლის საქმეში. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მესამე სექტორთან თანამშრომლობა. დიდია მათი როლი საზოგადოების განვითარების საქმეში. უმაღლესი საბჭო ღიაა ყველა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის და ეს დავამტკიცეთ ბოლო 8 თვეში.

გამოვყოფთ მესამე სექტორთან ერთად განხორციელებულ რამდენიმე აქტივობას :

- ✓ **„თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“ და ამერიკული ორგანიზაცია „NED”-ი, პროექტი „დემოკრატიული იდეების განვითარება“** - პროექტი ითვალისწინებს მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზებას. პროექტის ფარგლებში შედგა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა რაიონებსა და სოფლებში.

- ✓ **„დემოკრატიის ინსტიტუტი“** - ხშირად ვერთვებით მათ მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში და მზად ვართ, მომავალში კიდევ უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ.

- ✓ **„დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი“** - საჯარო შეხვედრების ადგილი, სადაც ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციაა, სადაც ყველა პარტიას, მედიას აქვს შესაძლებლობა გამართოს დისკუსია-შეხვედრა მათთვის და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამ სივრცეს ვიყენებთ ჩვენც და ხშირად ვერთვებით სხვადასხვა დისკუსიებში. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევიდან ძალიან მალე სწორედ აღნიშნულ სივრცეში გავმართე შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.

- ✓ **კონსტიტუციური ცვლილებების განხილვა მესამე სექტორთან:**

  საკონსტიტუციო ცვლილებების სამუშაო ჯგუფების შექმნისა და მუშაობის დაწყებისთანავე გადავწყვიტეთ აჭარაში მოქმედი მესამე სექტორის წარმომადგენლების ინიციატივები გაგვეცნო. შეხვედრა უმაღლეს საბჭოს სხდომათა დარბაზში შედგა. მესამე სექტორის შეკითხვები და წინადადებები ძირითადად საარჩევნო სისტემას, საარჩევნო ბარიერის დაწევას, ადამიანის უფლებების დაცვისა და უფლებამოსილებების დეცენტრალიზაცია-დელეგირებას ეხებოდა. შეხვედრა პროდუქტიული იყო. წარმოდგენილი წინადადებების ნაწილი წარვუდგინეთ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას.

განხილვაში ჩართულები იყვნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის აჭარის რეგიონალური სამმართელო
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ რეგიონალური ოფისი
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალი
- ბათუმის გენდერის მედიაცენტრი
- ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი "ინტელექტი“
- არასამთავრობო ორგანიზაცია "ბორჯღალი“
- იურისტები
- პოლიტოლოგები და ა.შ.

✓ **ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისათვის“** -აღნიშნული ორგანიზაციის მიერ არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ცოდნა წარმატებული მომავლისათვის“, რომლის მონაწილეებიც ესტუმრნენ უმაღლეს საბჭოს. პროექტში ჩართული იყვნენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები. შეხვედრაზე მათ გავაცანით უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები. ვისაუბრეთ კარგი განათლების მიღებისა და სამოქალაქო ცხოვრებაში მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე. მზად ვართ, მომავალშიც ვითანამშრომლოთ ა(ა)იპ ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისათვის“ - ორგანიზაციასთან.

✓ **ფონდი „მემორიალი“** - აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელთან და ფონდის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე აქტიურ თანამშრომლობაზე შევთანხმდით. არის შემოთავაზებები სამომავლო თანამშრომლობის შესახებ, რომლებიც განხილვის სტადიაშია.

✓ **ა(ა)იპ „ახალგაზრდულ უმაღლეს საბჭოსა“** - და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავ ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას სამოქალაქო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ერთობლივი პროექტების განხორციელებას ახალგაზრდების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებისათვის და ა.შ.

✓ **აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES)** - მხარდაჭერით, უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა შეხვედრა თემაზე - ,,გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება აჭარის

რეგიონში“. შეხვედრაზეგენდერული თანასწორობის სახელმწიფო პილიტიკის აქტუალური მიმართულებები, მიღწეული წარმატებები და ჯერ კიდევ დაუძლეველი პრობლემები განიხილეს. საქართველოს პარლამენტის წევრმა მარიამ ჯაშმა შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2017 წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგინა. აჭარაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმით აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი, საკანონმდებლო ორგანოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია წარსდგა. მან დეტალურად ისაუბრა ამ მიმართულებით განხორციელებულ და გასატარებელ ღონისძიებებზე.

- ✓ **ბათუმის გენდერის მედიაცენტრი** - აქტიურად მუშაობს გენდერული თანასწორობის საკითხებზე. ქალთა როლის გაზრდაზე პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად თანამშრომლობს აღნიშნულ ცენტრთან. მზად ვართ ჩავერთოთ და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება გავუწიოთ ბათუმის გენდერის მედიაცენტრს გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

შეხვედრები ახალგაზრდებთან

უმაღლესი საბჭოს სხდომები საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია დაესწროს მათ. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი თაობის დაინტერესება და ჩართულობა უმაღლეს საბჭოს საქმიანობაში. სხდომებს ძალიან ხშირად ესწრებიან საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები, ასევე ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები. ისინი ეცნობიან საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის სპეციფიკას, მუშაობის პრინციპებს და ზოგადად, წარმომადგენლობითი ორგანოს როლს რეგიონის განვითარების საქმეში.

7 ივლისს ველოდებით პროექტის - „ჩვენ ვსწავლობთ კონსტიტუციას“ რესპუბლიკური ოლიმპიადის 30-მდე გამარჯვებულს ქ. გორიდან, გორის მერიის კულტურისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელებთან ერთად.

საქველმოქმედო აქტივობები

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, გარდა დამტკიცებული და დეტალურად გაწერილი ბიუჯეტისა, არ აქვს უფლება შექმნას საქველმოქმედო თუ სხვა სახის ფონდები, ან მიიღოს სხვა შემოსავალი.

მიუხედავად ამისა, ჩვენი პირადი რესურსებით, სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზებით, საქველმოქმედო კონცერტებში ჩართვით ვცდილობთ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების თანადგომას. ამ კუთხით უმაღლესმა საბჭომ არაერთი საქველმოქმედო აქტივობა განახორციელა:

- ახალი წელი ბავშვთა სახლში;
- ალილო;
- სააღდგომო აქცია მედცენტრში;
- ჩვენი ხმა საზოგადოებაში - დაუნის სინდრომის დღე;
- საქველმოქმედო კონცერტები;
- სისხლის ბანკი;
- სოლიდარობის ფონდი;
- ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღეს აქცია კორპორაცია „ევექსთან“ ერთად - ამ დღეს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ ათეულობით ბავშვს;
- ამავე დღეს უმაღლესი საბჭოს საჩუქრები მიიღეს მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლისა და ფერიის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა;
- შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს უმაღლესი საბჭოს საჩუქრები მიიღეს სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრ „თანასა“ და ბათუმის შშმ პირთა დღის ცენტრის ბენეფიციარებმა;
- დონაციის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით უმაღლესი საბჭოს 12-მა თანამშრომელმა სისხლის ბანკში („ჰემა -2012“) უანგაროდ ჩააბარა სისხლი.

სამომავლო გეგმები

უმაღლესი საბჭოს მთავარი ამოცანა და მიზანია რეგიონში საკანონმდებლო გარემოს დახვეწა, სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება და კონსტიტუციით, რეგიონისთვის დელეგირებული საკითხების კანონის ჩარჩოებში მოქცევა. შესაბამისად სამომავლო გეგმებში შედის:

- ✓ აჭარის ა.რ. კონსტიტუციის პროექტის მომზადება
- ✓ ახალი რეგლამენტის მომზადება
- ✓ აპარატის სტრუქტურის ოპტიმიზაცია
- ✓ შეიქმნება საბჭო არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით
- ✓ განსახორციელებელია ცვლილებები დეპუტების გაცდენების მოსაწესრიგებლად
- ✓ იგეგმება ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დანერგვა
- ✓ იგეგმება ბიუროს ოთახის მოწყობა
- ✓ ვგეგმავთ უფლებამოსილებების დელეგირებაზე მუშაობის გააქტიურებას.
- ✓ გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით ვგეგმავთ კიდევ უფრო მეტი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას

ეს იყო მოკლე ინფორმაცია ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს 7 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.